ირმა დოლიძე

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, სამუზეუმო მიმართულება

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

ეკა კაჭარავა

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, სამუზეუმო მიმართულება

ისტორიის დოქტორი

„ახალი კავალერიის სახლის“ („კავალერიის კორპუსი“) ისტორიული შენობის სამუზეუმოდ ადაპტაცია, მუზეოგრაფიული პროგრამა, განვითარების ხედვა

I „ახალი კავალერიის სახლის“ ისტორიული შენობის სამუზეუმოდ ადაპტაციის მნიშვნელობა

ბორჯომი საქართველოს ბალნეოლოგიურ კურორტთა შორის გამორჩეული და მსოფლიო ბრენდის მინერალური წყლის – **„ბორჯომი“** – სამშობლოა.

ბორჯომის ხეობას კულტურული ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით დიდი და მნიშვნელოვანი რესურსი გააჩნია. უბადლოა ბუნებრივი ლანდშაფტი, მრავლადაა კულტურული მემკვიდრეობის როგორც საკულტო, ისე საერო დანიშნულების ძეგლები.

გასათვალისწინებელია ტურისტული თვალსაზრისით ქალაქ ბორჯომის უაღრესად ხელსაყრელი მდებარეობა *(ლიკანის კომპლექსი, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, სამთო-სათხილამურო კურორტი ბაკურიანი, ვარძია, ახალციხის რაბათი და სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი, კურორტი აბასთუმანი).*

ბორჯომი, ინფრასტრუქტურის სწორად დაგეგმვისა და განვითარების შემთხვევაში, ყოველმხრივ მიმზიდველ, საინტერესო, დიდი შესაძლებლობების მსოფლიო მასშტაბის საკურორტო ქალაქად იქცევა. ასეთ პერსპექტივას მას ჯერ კიდევ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე უწინასწარმეტყველებდნენ და შვეიცარიისა და საფრანგეთის საუკეთესო სპა-კურორტების კონკურენტად მიიჩნევდნენ.

XIX-XX საუკუნეების მიჯნის ბორჯომი ეკონომიკური თვალსაზრისით ინტენსიურად ვითარდება. მასშტაბური ინდუსტრიული პროექტები თანამედროვეთა შეფასებით, გასაოცრად სწრაფი „ამერიკული ტემპით“ მიმდინარეობს.

ბორჯომში განხორციელებულ სამეცნიერო, ტექნიკურ, სამშენებლო თუ სამეურნეო

პროექტების მნიშვნელობაზე, მასშტაბსა და ხარისხზე მეტყველებს ისეთი სახელები, როგორიცაა **გ. ეიფელი, ვ. სიმენსი, ფრ. მოლდენჰაუერი, ა.ზალცმანი, ლ. ბილფელდი, ლ. ბენუა, ვ. შენგარდტი, ე. შრეტერი, ვლ. შვეიერი, გ. ზაზემანი, პ. ვინოგრადოვ-ნიკიტინი, გ. სტრუვე, ე. ანდრეევსკი, ა. რემერტი.**

ბორჯომის სამომავლო განვითარებისა და მიმზიდველობის უაღრესად მნიშვნელოვანი კომპონენტია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სამუზეუმო მიმართულების სამსახურის მიერ ინიცირებული პროექტი – **„ბორჯომი – სამუზეუმო ქალაქი“.** ეს არის ერთიანი ქრონოლოგიური და განსხვავებული თემატური სამუზეუმო ქსელის შექმნის უალტერნატივო შესაძლებლობა.

კონცეფციის – „ბორჯომი – სამუზეუმო ქალაქი“ – ერთ-ერთ უმთავრეს შემადგენელ რგოლს ბორჯომის ცენტრში მდებარე ე. წ. „ახალი კავალერიის სახლის“ შენობის სამუზეუმო ადაპტაცია წარმოადგენს. აღნიშნულის მიზანშეწონილობას შემდეგი ფაქტორები განაპირობებს:

1. **შენობისა და პარკის ისტორიულ-მემორიალური ხასიათი და უაღრესად მომგებიანი ადგილმდებარეობა;**

2. **„ახალი კავალერიის სახლის“-ს რეაბილიტაცია და სამუზეუმო ადაპტაცია – მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის გადარჩენა-შენარჩუნება და ახალი ფუნქციური დატვირთვა (ძეგლის რეაბილიტაციის დაყოვნება მისი განადგურების ტოლფასია);**

3. **ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი – უძრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი – არასამუზეუმო დანიშნულების შენობაა. მასში დაცული მრავალფეროვანი კოლექციებისათვის არასაკმარისი საექსპოზიციო თუ საფონდო სივრცეებით, რაც შეუძლებელს ხდის კოლექციების სრულფასოვან ექსპონირებას;**

4. **„ახალი კავალერიის სახლი“ – გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი – ქ. ბორჯომში შემეცნებით-კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი, სადაც შესაძლებელი იქნება: დროებითი გამოფენების, სამეცნიერო კონფერენციების, პრეზენტაციების, მემუარული და ლიტერატურული საღამოების, კლასიკური მუსიკის კონცერტების, ფილმების პრეზენტირება-რეტროსპექტივა, შესაბამისი პროფილის ლექციების, ოფიციალური მიღებების, შემეცნებით-საგანმანათლებლო პროგრამების ჩატარება-განხორციელება.**

5. **კომერციული მიზანშეწონილობა: „ახალი კავალერიის სახლის“ სამუზეუმო ადაპტაციის ფარგლებში მოაზრებული ვიზიტორთა ცენტრის ფუნქციონირება – ინფორმაცია-რეკლამით, ტურისტული სერვისების შეთავაზებით, ლიტერატურული კაფეთი, სასუვენირე სივრცეებით, მხარის კულტურული მემკვიდრეობის, ღირსშესანიშნაობების, პარკების, მინერალური წყლებისა და სხვა ადგილობრივი წარმოების პროდუქციის, სასტუმროთა ქსელის, სარესტორნო მომსახურების რეკლამირება-პოპულარიზაციით;**

6. **ახალი სამუშაო ადგილების შექმნა (გაზრდილი სამუზეუმო შტატი, გიდების მომსახურება/ტრანსპორტით უზრუნველყოფა, კაფე – სერვისი, კაფეს მომარაგება – ადგილობრივი პროდუქტი და წარმოება);**

7. **ადგილობრივი რეწვის აღორძინება, ოსტატების მოძიება-გამოვლენა, ხარისხიანი პროდუქციის დაკვეთა, რეალიზაციის ხელშეწყობა, ადგილობრივთა დასაქმება, მატერიალური პირობების გაუმჯობესება, ადგილობრივი რეწვის გამოფენების მოწყობა, მათი ჩართვა ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე გამოფენა-ბაზრობებში, წახალისება, მოტივირება;**

8. **„ახალი კავალერიის სახლის“ რეაბილიტაცია-სამუზეუმოდ ადაპტაციის მიზანშეწონილობის გათვალისწინებით, შედეგზე ორიენტირებული, მყარ სამეცნიერო-კვლევით საფუძველზე დამყარებული იდეა-კონცეფცია, განხორციელების გეგმა.**

9. **შედეგი:**
   – რეაბილიტირებული „ახალი კავალერიის სახლი“ – გამოყენებით-დეკორატიული ხელოვნების მრავალფუნქციური, თანამედროვე ინტერაქტიული მუზეუმი, ეროვნული მნიშვნელობის შემეცნებით-კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი;
   – მხარის ეკონომიკური გაძლიერების საშუალება და ერთ-ერთი კომპონენტი (სამუშაო ადგილები, ტურიზმის ზრდა-განვითარება, სარესტორნო და სასტუმრო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, ადგილობრივი პროდუქციის რეალიზაცია, კურორტის პოპულარიზაცია).
   – ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია.

II „ახალი კავალერიის სახლის“ („კავალერიის კორპუსი“) შენობის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსათვის გადმოცემა, სააგენტოსა და სააგენტოს სამუზეუმო მიმართულების სამსახურის მიერ განხორციელებული ღონისძიებები

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურაში გაერთიანებული თექვსმეტი მუზეუმიდან და მუზეუმ-ნაკრძალიდან ერთ-ერთია. 1926 წელს დაარსებული მუზეუმი 1938 წლიდან განთავსებულია გერმანელი არქიტექტორის, ვ. შვეიერის მიერ დაპროექტებულ და 1890 წელს აშენებულ ნაგებობაში, რომელიც ფუნქციურად ბორჯომში, რომანოვების მამულის კანცელარიისათვის იყო გათვალისწინებული. ამდენად, სადღეისოდ ბორჯომის მუზეუმი, არასამუზეუმო დანიშნულების შენობაშია განთავსებული.

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი გამორჩეულია მასში დაცული მრავალფეროვანი *(მინერალოგია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ნუმიზმატიკა, საბუნებისმეტყველო, გამოყენებითი, სახვითი და საარქივო, ნიგნადი ფონდი)*, ისტორიული, მხატვრული, მემორიალური, დოკუმენტური მნიშვნელობის მქონე ექსპონატებით. კოლექციების ნაირგვარობისა და სიმდიდრის გათვალისწინებით, შენობის სივრცის სიმცირე და არასამუზეუმო პროექტირება, ხელისშემშლელია აქ დაცული მასალების სრულფასოვანი, თანამედროვე ექსპონირებისათვის.



ზემოაღნიშნული პრობლემის ოპტიმალური მოგვარების საშუალებად, სააგენტოს მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების სამსახურის მიერ მიჩნეული იყო ქ. ბორჯომის ცენტრში, მ. კოსტავას სახელობის ბაღში (ყოფილი ადოლფ რემერტის სახელობის პარკი), ყოფილი **„ახალი კავალერიის სახლის“** *(შემდგომში, XX საუკუნის 30-იანი წლებიდან პოლიკლინიკა და დისპანსერი)* შენობის საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსათვის გადმოცემა, ამ შენობის რეაბილიტაცია და სამუზეუმო ადაპტაცია.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის **2006 წლის 12 სექტემბრის №3/312 ბრძანებით „ახალი კავალერიის სახლს“ მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტის სტატუსი,** რაც საქართველოს კანონმდებლობით მის დაცვა-შენარჩუნებას გულისხმობს.

„ახალი კავალერიის სახლს“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2010 წლის 2 ივნისის №3/87 ბრძანებით მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.

„ახალი კავალერიის სახლის“ თანამედროვე, საინტერესო სამუზეუმო სივრცედ ადაპტაცია მნიშვნელოვან ფინანსურ სახსრებთანაა დაკავშირებული, რაც სააგენტოს შესაძლებლობას აღემატება. შენობის გადმოცემისთანავე, სააგენტო სახსრების მოძიებისათვის ზრუნვას შეუდგა. ამ მიზნით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა წერილით მიმართა მუნიციპალური განვითარების ფონდს. წერილში აისახა **„ახალი კავალერიის სახლის“** შენობის სტატუსი, არსებული მძიმე მდგომარეობა და შენობის გადასარჩენად დროული ჩარევის აუცილებლობა, ასევე, მისი შემდგომი სამუზეუმო დატვირთვის მნიშვნელობა. წერილში აღნიშნული იყო, რომ რეაბილიტაციისა და სამუზეუმო ადაპტაციის შედეგად გადარჩებოდა კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელიც, ამავდროულად, იქცეოდა მხარის განვითარებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად, რენტაბელურ მუზეუმად და შემეცნებით-კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად.

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ თავმჯდომარის **2014 წლის 17 სექტემბრის №1/1-2057 ბრძანებით „ახალი კავალერიის სახლი“**, დამატებითი ქონების სახით, საკუთრებაში გადაეცა ბორჯომის მუნიციპალიტეტს.

2015 წლის 6 თებერვალს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების სამსახურმა **„ახალი კავალერიის სახლი“**-ს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსათვის გადმოცემის, შენობის რეაბილიტაციისა და სამუზეუმო ადაპტაციის ინიციატივით მიმართა სააგენტოს გენერალურ დირექტორს, ბატონ ნიკოლოზ ანთიძეს. გენერალური დირექტორის თანხმობით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თხოვნის საფუძველზე, ქ. ბორჯომის ცენტრში, ადოლფ რემერტის სახელობის ისტორიულ პარკში (დღეს მ. კოსტავას სახელობის ბაღი) მდებარე XIX საუკუნის შენობა – **„ახალი კავალერიის სახლი“** – შესაბამისი იურიდიული პროცედურების განხორციელების შემდგომ, 2015 წელსვე გადაეცა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს. იმ დროისათვის შენობა უფუნქციო იყო. ძეგლის რეაბილიტაციის დაყოვნება კი მის განადგურებას უტოლდებოდა.



(2014 წ.) კორექტირების შემდგომ, გადაწყდა მუნიციპალური განვითარების ფონდისა და მსოფლიო ბანკის თანამონაწილეობით სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყება. სამწუხაროდ, ორივე შენობის – **„ახალი კავალერიის სახლის“** და **ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის** – სარეაბილიტაციო პროექტების დაფინანსება მუნიციპალური განვითარების ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ ვერ მოხერხდა.

ასეთ ვითარებაში სააგენტომ გადაწყვიტა ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სარეაბილიტაციო პროექტის განხორციელების დროებით გადადება და მოამზადა დასაბუთება მისი **„ახალი კავალერიის სახლის“** რეაბილიტაციით ჩანაცვლების თაობაზე.

ადგილმონაცვლეობის უმთავრესი არგუმენტი უძრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე **„ახალი კავალერიის სახლის“** უმძიმესი მდგომარეობა და ისტორიული შენობის განადგურების საფრთხე იყო. ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობა მსგავსი საფრთხის წინაშე არ იდგა და მომავალში სააგენტო საკუთარი ძალებით შეძლებდა მის ეტაპობრივ რეაბილიტაციას, რაც ფინანსური თვალსაზრისით, „ახალი კავალერიის სახლის“ შემთხვევაში, შეუძლებელი იყო.

სააგენტო ფონდს მიმართავდა თხოვნით, განეხილათ **„ახალი კავალერიის სახლის“** შენობის რეაბილიტაციის წინადადება. ასევე, საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, სააგენტო, თავის მხრივ, პროცესის მყისიერად დაწყების მზაობას გამოთქვამდა, რაც გულისხმობდა შენობის **რეაბილიტაცია-ადაპტაციის პროექტირებისათვის მომზადებულ ტექნიკურ დავალებას, წინმსწრებად შემუშავებულ ფუნქციურ ზონირებას, პირველად აზომვით ნახაზებს, არქიტექტურული ძეგლის ლაზერულ სკანირებას და, რაც მთავარია, გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის მუზეოგრაფიულ კონცეფციასა და საექსპოზიციო გეგმას.**

ამ დროისათვის რეგიონალური განვითარების მესამე პროექტის ფარგლებში დაგეგმილი იყო ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რეაბილიტაცია. 2016 წლისათვის, ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არსებული სარეაბილიტაციო პროექტის





მუნიციპალური განვითარების ფონდსა და მსოფლიო ბანკს სააგენტოს მხრივ მიეწოდა შესაბამისი არგუმენტაცია, მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების სამსახურის მიერ მომზადებული **ერთიანი კონცეფციით – „ბორჯომი – სამუზეუმო ქალაქი“**, რომელიც ბორჯომში ხუთი მუზეუმის შექმნას მოიაზრებს. ესენია:

ბორჯომის მხარის ისტორიის მუზეუმი *(ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობა)*, **გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი** *(საიმპერატორო კოლექცია „ახალი კავალერიის სახლის“ შენობა)*, **სასახლე-მუზეუმი, პარკი და მრავალფუნქციური კომპლექსი** *(ლიკანის სასახლე და ტყე-პარკი)*, მინერალური წყლის **„ბორჯომი“ ისტორიის მუზეუმი** *(ბორჯომის მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხნის შენობა)*, **ინდუსტრიული მემკვიდრეობის მუზეუმი** *(მოლდენჰაუერის ჰიდროელექტროსადგურის შენობა)* და **საიტი ღია ცის ქვეშ – ბორჯომის რკინიგზა.** დოკუმენტში სრულადაა ასახული მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების სამსახურის *(ი. დოლიძე, ე. კაჭარავა)* მიერ დამუშავებული ბორჯომის მომავალი **კულტურულ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ხედვა.**

– ამ პროექტების განხორციელებისა და ტურისტულ მარშრუტში ინტეგრირების, სწორი რეკლამირების შემთხვევაში, ბორჯომის ხეობაში მივიღებთ ხუთ უმნიშვნელოვანეს, საინტერესო, მაღალშემოსავლიან მუზეუმს/სამუზეუმო კომპლექსს და საიტს. სასურველია ასევე, განხორციელდეს **ისტორიული პარკების – მინერალური წყლის პარკის და რემერტის პარკის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია.** რეაბილიტაციისა და ისტორიულად არგუმენტირებული რეკონსტრუქციის შემთხვევაში, თითოეული ეს პარკი, მათში განთავსებული, სამუზეუმოდ ადაპტირებული ისტორიული შენობებით, ბორჯომში პროექტების განმახორციელებელი პირების *(მეტწილად ევროპული წარმომავლობის მეცნიერების, არქიტექტორ-ინჟინრების)* მაღალ სვეტებზე დადგმული მცირე ზომის ფიგურების სპეციალური აპლიკაციებით ან საინფორმაციო დაფებით გარკვეული სიმეტრიით განთავსებით მიმზიდველ და რენტაბელურ ტურისტულ ცენტრებად იქცევა.

მუნიციპალური განვითარების ფონდმა და მსოფლიო ბანკმა გაიზიარა სააგენტოს ხედვა და დაიწყო ერთობლივი მუშაობა „ბორჯომი – სამუზეუმო ქალაქი“ კონცეფციის განხორციელებისათვის.

ბორჯომის **„ახალი კავალერიის სახლის“** შენობის აღდგენისა და მისი სამუზეუმოდ ადაპტაციის პროექტის მომზადებაზე გამოცხადდა ტენდერი. მასში გამარჯვებულად გამოვლინდა **ერთობლივი საწარმო ა(ა)იპ. ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი** და **ICOMOS საქართველო** (პროექტის ხელმძღვანელი – *მ. დვალიშვილი*, მთავარი არქიტექტორი – *მ. ბოჭოიძე*, კოორდინატორი – *მ. შავიშვილი*).

მომზადდა სათანადო საპროექტო დოკუმენტაცია და განსახილველად წარედგინა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან არსებულ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს. წარმოდგენილ დოკუმენტაციას დადებითი შეფასება მისცა.

2018 წელს დასრულდა **„ახალი კავალერიის სახლის“** რეაბილიტაციისა და სამუზეუმოდ ადაპტაციის პროექტზე მუშაობა. შემდგომი ეტაპი უკვე ფიზიკური სამუშაოების განხორციელებაა.

წანამძღვრები

„ახალი კავალერიის სახლის“ შენობის გადმოცემისთანავე, სააგენტოს მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების სამსახურმა (ი. დოლიძე, ე. კაჭარავა) დაიწყო ისტორიული შენობის სამუზეუმო ადაპტაციის საკითხებზე მუშაობა. კერძოდ.:





სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით:

- შესაბამისი მასალების მოძიების პროცესში დამუშავდა ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, საქართველოს ეროვნული არქივის, საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო საისტორიო არქივებში დაცული საარქივო მასალები; მათ შორის: ბორჯომის გეგმები და პროექტები; სწორედ ამ მასალებში აღმოჩნდა ჩვენთვის საინტერესო, აკვარელში შესრულებული არაერთი ესკიზური პროექტი, მათ შორის **„ახალი კავალერიის სახლის“ ფასადისა და სახურავის ესკიზები;** მოძიების შემდგომ ჩატარდა ამ მასალის ფოტოფიქსაცია *(ფოტოგრაფი შ. ლეჟავა, ფონდის მცველი ნ. გედევანიშვილი);*
- მოძიებულ იქნა და დამუშავდა შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა;
- ზემოაღნიშნული მასალების თავმოყრის შემდგომ, მოძიებული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების საფუძველზე შესწავლილ იქნა **„ახალი კავალერიის სახლის“** ისტორია*, ამ კვლევის შედეგი სამეცნიერო ნაშრომის სახით ქვეყნდება ამავე კრებულში (იხ. ე. კაჭარავა, „იდეა – „ახალი კავალერიის სახლი“ – ბორჯომის გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი“, გვ. 236-255)
- შესწავლილ იქნა **ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და ლიკანის გამოყენებითი ხელოვნების კოლექციები** *(ეკა კაჭარავა).* ჩატარდა ამ კოლექციების პროფესიონალური ფოტოფიქსაცია *(შალვა ლეჟავა, ივანე ყენია).* საარქივო მასალების მოძიება-დამუშავების საფუძველზე გამოვლინდა, რომ ბორჯომისა და ლიკანის სასახლეების კოლექციები სხვადასხვა დროსა და ვითარებაში ხვდებოდა თბილისის ეროვნულ გალერეაში, მეტეხის მუზეუმში, ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილისა და ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმებში. ამ მასალების კვლევის პროცესი დღესაც გრძელდება, სირთულეს ქმნის შესაბამისი საიდენტიფიკაციო დოკუმენტაციის სიმწირე ან არარსებობა, და, ასევე, შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების

* ე. კაჭარავა, ქართული ბრენდი „ბორჯომი“ – გამოფენის პროექტის პრეზენტაცია, 2015; ი. დოლიძე, ე. კაჭარავა, იდეა-კონცეფცია-„ბორჯომი-სამუზეუმო ქალაქი“, 2016.

მუზეუმის ევაკუაციისთვის მზადების პროცესი *(დასავლეთ ევროპული კოლექციის ფონდის მცველი მ. ჭელიძე, რუსული კოლექციის ფონდის მცველი მ. მაცაბერიძე).*

ამ დროისათვის საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის მუზეუმში კვლევითი სამუშაოები მიმდინარეობს ორი ძირითადი მიმართულებით: ბორჯომ-ლიკანის სასახლეების სახვითი ხელოვნების ევროპულ და რუსულ კოლექციებზე მუშაობს ირმა დოლიძე; გამოყენებითი ხელოვნების აღმოსავლური, ქართული, ევროპული და რუსული კოლექციებზე *(მასალა – ფაიფური, ქაშანური, კერამიკა, მინა, ნახევრადძვირფასი ქვა, ხე, ლითონი) – ეკა კაჭარავა.* ამ კვლევების პირველადი შედეგები ასახულია პუბლიკაციებში *(იხ. ი. დოლიძე, კოლექციათა ატრიბუციის საკითხისათვის – ლიკანის სასახლე, კრებული „საერთაშორისო კონფერენციის „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები“, თბ. 2018, გვ. 459–479);*

- ჩატარდა ზემოაღნიშნული კოლექციების პროფესიონალური ფოტოფიქსაცია *(შალვა ლეჟავა, ივანე ყენია, ანა ყიფიანი).* ამ დროისათვის მოძიებულია გამოყენებით ხელოვნების კოლექციების 200-ზე მეტი ექსპონატი (მათი რაოდენობა შესაძლოა 250-300 ექსპონატამდე გაიზარდოს). კვლევის შედეგები მნიშვნელოვნად ცვლის არსებულ ვითარებას საექსპოზიციო სივრცის განაწილებისა და დიზაინის თვალსაზრისით;
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და კომპანია „IDS ბორჯომი საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით მომზადდა ბორჯომისა და ლიკანის გამოყენებითი ხელოვნების კოლექციათა ამსახველი ორი სამუზეუმო ფილმი;
- სააგენტოს დაკვეთით გაკეთდა **„ახალი კავალერიის სახლის“** ლაზერული სკანირება (შემსრულებელი ააიპ „ინჟინრული აზრი“, 2016 წ.
- მომზადდა **„ახალი კავალერიის სახლის“ – მომავალში გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის –** პირველადი საექსპოზიციო კონცეფცია, რომლის მიხედვითაც დამუშავდა ფუნქციური ზონირების სქემა (ი. დოლიძე, ე. კაჭარავა) და, შესაბამისად, აისახა სამუზეუმოდ ადაპტაციის პროექტის ტექნიკურ დავალებაში. მომზადდა, ასევე, **„ახალი კავალერიის სახლის“,** როგორც თანამედროვე მუზეუმის, განვითარების სამომავლო ხედვა და პროექტირების დროს გასათვალისწინებელი რეკომენდაციები.

III „ახალი კავალერიის სახლის“ სამუზეუმოდ ადაპტაცია

„ახალი კავალერიის სახლი“ ქვის ფსევდოგოთურ სტილში ნაგები შენობაა, რუსული არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ელემენტებით – მანსარდით, კოშკებით, მაღალი ფრონტონებით. არქიტექტურული გადაწყვეტით კარგად ესადაგება ისტორიული, ად. რემერტის სახელობის პარკის ლანდშაფტს და ბორჯომის განაშენიანებას. შენობის ადგილმდებარეობა იდეალურია მისთვის სამუზეუმო ფუნქციის მისანიჭებლად და მისი ფუნქციური დატვირთვის საუკეთესო გადაწყვეტად გვესახება.





რეაბილიტაციის შემდგომ, ეს ისტორიულ-არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით გამორჩეული შენობა, იქცევა ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფილიალად, საერთო ადმინისტრირების სისტემით და მრავალფეროვანი კოლექციების ისტორიულ გარემოში ექსპონირების საუკეთესო შესაძლებლობით. ამ გადაწყვეტილებით ბორჯომს შეემატება მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტორიც, რომ სადღეისოდ ქალაქს არ გააჩნია კულტურულ-საგანმანათლებლო, საგამოფენო, ოფიციალური მიღებების თანამედროვე მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი სივრცე.



ეს არის მემუარული და ლიტერატურული საღამოების, შესაბამისი პროფილის ლექციებისა და კონფერენციების, კლასიკური მუსიკის კონცერტების, ფილმების რეტროსპექტივის საუკეთესო ადგილი.

„ახალი კავალერიის სახლის“ შენობის გადმოცემამ შექმნა ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული კოლექციების რაოდენობრივი და თემატური გადანაწილების რეალური და საუკეთესო შესაძლებლობა *(მათ შორის ისეთი სივრცეების გაჩენისთვის, როგორიცაა დროებითი გამოფენების სივრცე, სადაც კოლექციების ექსპონირება შესაძლებელია მუდმივი განახლების რეჟიმში, სივრცე საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, მედიათეკა სამეცნიე-*

რო-კვლევითი საქმიანობისთვის, სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობებისთვის, კინორეტროსპექტივისთვის.).

„ახალი კავალერიის სახლის“ რეაბილიტაციისა და სამუზეუმოდ ადაპტაციის დროს შენობის ინტერიერის დიზაინი უნდა ითვალისწინებდეს ეპოქისა (XIX-XX სს.) და კოლექციების სპეციფიკას. მათი დაცვის, ექსპონირების, ინტერპრეტაციისა და ვიზუალიზაციის თანამედროვე სამუზეუმო სტანდარტებითა და უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით.



მუზეუმის მიმართულებებია:

კულტურული – კულტურული ღონისძიებების გამართვა *(მემუარული და ლიტერატურული საღამოები, შესაბამისი პროფილის ლექციები და კონფერენციები, კლასიკური მუსიკის კონცერტები, ფილმების რეტროსპექტივა);*

სამეცნიერო-კვლევითი – სამეცნიერო კვლევა, მხარის არქიტექტურული ძეგლების მონიტორინგი, შესწავლა და დაცვა; ლექციების ჩატარება, სამეცნიერო კონფერენციებისა და სესიების გამართვა;

საგანმანათლებლო-შემეცნებითი – საექსკურსიო პროგრამები სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვებისათვის; საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საგანმანათლებლო სამსახურთან კოორდინაციით საგანმანათლებლო-სახელოვნებათმცოდნეო პროგრამების დანერგვა-განხორციელება; ადგილობრივი რეწვის ოსტატების ვორქშოფები; საგანმანათლებლო პროგრამების შედეგების ამსახველი გამოფენების ორგანიზება-ჩატარება;

მედიათეკა – ბორჯომს სადღეისოდ არ გააჩნია ბიბლიოთეკა. თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი მედიათეკა, რომელსაც მოემსახურება საგანგებოდ დატრეინინგებული სპეციალისტი, საგანმანათლებლო-შემეცნებით პროგრამებთან კონტექსტში ადგილობრივი მოსწავლე-ახალგაზრდობის განათლების ხარისხის ამაღლების შესანიშნავი საშუალებაა *(აკადემიური სასწავლო პროცესის ხელშეწყობა, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ ზოგადად მძიმე სოციალურ ფონს. ახალგაზრდებს შესაძლებლობა ექნებათ ცოდნის გაღრმავებისათვის ისარგებლონ თანამედროვე ტექნოლოგიებით, რის საშუალებაც უმეტესობას სახლის პირობებში არა აქვს).*

მუზეუმები, უმეტესწილად, სახელმწიფო დოტაციაზე არსებული ინსტიტუციებია. იმისათვის, რომ მუზეუმმა მოახერხოს საკუთარი თავის შენახვა და იყოს რენტაბელური, ბილეთების გაყიდვით მიღებული შემოსავლის გარდა, სასურველად მიგვაჩნია მასში შემდეგი სერვისების განთავსება:

- **ვიზიტორთა მომსახურება – საზოგადოებრივი სივრცე, საინფორმაციო, სალარო, სასუვენირე დახლი (57.38 მ²);**
- **კაფე, სასუვენირე და წიგნების მაღაზია გარე სივრცეში განვითარების პერსპექტივით;**
- **მუზეუმის გარე სივრცის განვითარება-მოწყობა.**

IV განახლებული საექსპოზიციო კონცეფცია და ფუნქციური ზონირება

„ახალი კავალერიის სახლის“ პირველადი კონცეფციები გამოქვეყნდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2015-2016 წლების სამეცნიერო კონფერენციათა კრებულებში **„მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა“***.

შენობის კვლევის პროცესის დროს გამოვლენილმა ახალმა სპეციფიკურმა გარემოებებმა (*რკინის ხიდის დემონტაჟის აუცილებლობა, პარადული შესასვლელის ხის შუშაბანდის რესტავრაცია-რეაბილიტაციის გამორიცხვა, სასარდაფე სართულის არარსებობა, რეაბილიტაციის პროექტით მზიდი კედლების სისქისა და განლაგების გათვალისწინება, და სხვ.),* ასევე, ბორჯომისა და ლიკანის სასახლეების კოლექციათა მოძიებისა და კვლევის წინასწარულმა შედეგებმა, საარქივო მასალების საფუძველზე მოპოვებულმა დამატებითმა ინფორმაციამ (დოკუმენტები, ესკიზები), პირველად სამუზეუმო კონცეფციასა და მომავალი მუზეუმის ფუნქციურ ზონირებაში გარკვეული ცვლილებების შეტანა განაპირობა. აღნიშნულის გამო, ამ ცვლილებების გათვალისწინებით ვაქვეყნებთ **„ახალი კავალერიის სახლის“** ჩვენეული კონცეფციისა და განვითარების ხედვის განახლებულ ვერსიას.

I სართული

შენობის წრიული კოშკი სრულად დაიტვირთება კიბის უჯრედით, სადაც განთავსდება ხვეული კიბე ხისა და ლითონის მოაჯირით *(ნიმუში – ლიკანის სასახლის კიბის ესკიზები).*

1.1 საზოგადოებრივ-საინფორმაციო სივრცე, სალარო, სასუვენირე დახლი (57.38 მ²)

- საინფორმაციო;
- სალარო;
- წიგნების, სუვენირებისა და ნაკეთობათა დახლი-მაღაზია;
- გარდერობი (ტანსაცმლის საკიდი, ხელბარგისა და პირადი ნივთების შესანახი სათავსო – 18.84 მ²);
- საპირფარეშო (ძველებური დიზაინი, ადაპტირებული შშმ პირთათვის – 18.28მ²)
- ადმინისტრაცია (18.58 მ²);
- გიდი, კურატორი, ზედამხედველი (17.32 მ²);
- დაცვის ოთახი (11.70 მ²);
- ლიფტი შშმ პირთათვის;

1.2 ვიზიტორთა მომსახურება – საზოგადოებრივი სივრცე, საინფორმაციო, სალარო, სასუვენირე დახლი (57.38 მ²)

მუზეუმის მიზანია მაქსიმალურად გაზარდოს ვიზიტორთა რაოდენობა. შესაბამისი სერვისების შეთავაზებით ხელმისაწვდომი გახადოს, არა მხოლოდ „ახალი კავალერიის სახლის“ სამუზეუმო სივრცეში დაცული კოლექციები, არამედ ვიზიტორებს ინფორმაცია მიაწოდოს, პოპულარიზაცია გაუწიოს ზოგადად მხარის ღირსშესანიშნაობებს, სხვა მუზეუმებს, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, ტურისტულ ინფრასტრუქტურას *(სასტუმროები, სპა სერვისები, მინერალური წყალი „ბორჯომი“, კვების ობიექტები, სათხილამურო კურორტი ბაკურიანი, აბასთუმანი და სხვ.),* მიმდინარე კულტურულ თუ საგანმანათლებლო ღონისძიებებს, შექმნას ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლი შიდა ქართლსა და სამხრეთ საქართველოს ტურისტულ სივრცეებს შორის. ამ მიზნით, მუზეუმის საინფორმაციო სივრცეში სასურველია **დიდი ეკრანის განთავსება** – აუდიო-ვიზუალური საშუალებით ვიზიტორი გაეცნობა ზემოაღნიშნულ ინფორმაციას.

ასევე, ამავე ეკრანის მეშვეობით შესაძლებელი იქნება ტურისტული სარეკლამო რგოლების რეტროსპექტივა, რაც მუზეუმს დამატებით შემოსავლს შესძენს.

საინფორმაციო სივრცეში შესაძლებლად გვესახება მხარის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გასაცნობად, გიდებისა და სატრანსპორტო მომსახურების შეთავაზება, რაც ასევე დამატებითი, შემოსავლის წყაროა.

---

* ეკა კაჭარავა, ქართული ბრენდი „ბორჯომი“ – გამოფენის პროექტის პრეზენტაცია, საკონფერენციო კრებული „მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა, II“, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, თბ., 2015, გვ. 225-226

ირმა დოლიძე, ეკა კაჭარაეა, იდეა-კონცეფცია – „ბორჯომი სამუზეუმო ქალაქი“, საკონფერენციო კრებული „მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა, III“, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, თბ., 2016, გვ. 284-287

საინფორმაციო სივრცეში გათვალისწინებული უნდა იყოს თანამედროვე დიზაინის სამუზეუმო სივრცის შესაბამისი სკამი (-ები) და სასუვენირე დახლი.

სასურველია ამ სივრცის ცოცხალი ფოთლოვანი მცენარეებით გაფორმება.
(მაგ. ფინიკის პალმა, ფიკუსი).

1.3 სამუზეუმო კაფე (55.88 მ²), სუვენირებისა და წიგნების მაღაზია გარე სივრცეში განვითარების პერსპექტივით

„ახალი კავალერიის სახლის“ კომერციული თვალსაზრისით უაღრესად მოსახერხებელი ადგილმდებარეობის გათვალისწინებით *(ცენტრი, ისტორიული პარკი)*, სასურველია მუზეუმში განთავსდეს ე. წ. ლიტერატურული კაფეს ტიპის სამუზეუმო კაფე. ინტერიერი, აქსესუარები, მომსახურება *(პერფორმანსი)*, უნდა შეესაბამებოდეს ეპოქასა და მუზეუმის არქიტექტურულ სტილს *(XIX-XX საუკუნეების მიჯნა)*.

სასურველია მაქსიმალურად კომფორტული და სასიამოვნო გარემოს შექმნა *(ინტერნეტი, მომსახურება, სეზონურად სიგრილე-სითბო)*. გარემომ ვიზიტორს უნდა გაუჩინოს მუზეუმში უფრო მეტი დროის გატარების სურვილი. რაც გაზრდის კვებითი მომსახურების მოთხოვნას, ასევე, კაფეში განთავსებულ წიგნებისა და სუვენირების მაღაზიებში (*ასევე გაიყიდება ღვინო, ქართული ტკბილეული, ადგილობრივი ოსტატების მიერ შექმნილი პროდუქცია)* სარეალიზაციო პროდუქციის უკეთ გაცნობისა და რეალიზაციის შესაძლებლობას.

გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ კაფით სარგებლობა მისაწვდომი იქნება არა მხოლოდ მუზეუმის დამთვალიერებელთათვის, არამედ ყველა სხვა ტიპის კლიენტისათვის, ვინაიდან კაფეს დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს.

კაფე, სასუვენირე და წიგნების მაღაზია შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს რეგიონში *(მომსახურე პერსონალი, ადგილობრივი კვების პროდუქტის გამოყენება, კვების პროდუქტების (ნამცხვარი, ტკბილეული) დამზადება)*.

მუზეუმი კარგი საშუალებაა ხარისხიანი ადგილობრივი რეწვის პროდუქციის რეალიზაციისათვის, ამით მნიშვნელოვნად შეეწყობა ხელი ადგილობრივი რეწვის განვითარებასა და აღორძინებას.

ყოველივე ეს ერთიანობაში, გაზრდის მუზეუმისადმი ინტერესს და, შესაბამისად, დამთვალიერებლის რაოდენობას, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მის პოპულარიზაციას.

სამუზეუმო კაფე ადგილობრივთა დასაქმებისა და მატერიალური კეთილდღეობის ზრდის ერთ-ერთ წყაროდ იქცევა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მხარის ეკონომიკურ განვითარებას.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია მისი გარე სივრცეში განვითარების შესაძლებლობა *(შესაბამისი პირობების შექმნით არასეზონური, არამედ მთელი წლის განმავლობაში)* მას უფრო დატვირთულს გახდის *(განს. მცირეწლოვან ბავშვებიანი ვიზიტორებისათვის)*.

1.4 მუზეუმის გარე სივრცე (ად. რემერტის სახელობის ისტორიული პარკის ტერიტორია)

ეპოქა და სტილი უნდა იყოს გათვალისწინებული გარე სივრცეშიც.

- სივრცის შემოსაზღვრა;
- მუზეუმის წინ პარკინგის მოწყობა;
- ბაღის მოწყობა-გამწვანება, ბაღის სკამები, ეპოქის შესაბამისი გარე განათება *(ნიმუში – ლიკანის სასახლის ესკიზი)*;
- მუზეუმის კაფეს გარე სივრცეში განვითარება *(პარკის ფანჩატურები – მსგავსი ტიპის, გარეული ვაზით დაბურული ნიმუში – მიხეილ რომანოვის სასახლის პარკის ფანჩატურია (ან მაგიდები ქოლგებით), გარე სივრცის გამათბობლები, მიზანი – კაფე არ იყოს მხოლოდ სეზონურად დატვირთული)*.
- დამთვალიერებლის მიზიდვის მიზნით კლასიკური მუსიკით გაფორმება *(გარე სივრციდანვე)*.
- ეფექტური, მიმზიდველი მუზეუმის მანიშნის დამზადება-მონტაჟი;
- გარე სივრცეში შესაძლებელია ეტლის ან ძველი ავტომობილის განთავსება *(ბორჯომის ფოტომასალის ანალოგები)*, რაც გაზრდის მოზარდთა ინტერესს, ტურისტებს გაუჩნდებათ მუზეუმთან ფოტოს გადაღების სურვილი, რაც ხელს შეუწყობს მუზეუმის პოპულარობას.
- სასურველია ად. რემერტის პარკის ავთენტიკური იერ-სახის აღდგენა, მასში ქანდაკებების (ბორჯომში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე განხორციელებული პროექტების ავტორ-შემოქმედთა *(მაგ. გ. ეიფელი, ვ. სიმენსი, ფრ. მოლდენჰაუერი, ა.ზალცმანი, ლ. ბილფელდი, ლ. ბენუა, ვ. შენგარდტი, ე. შრეტერი, ვლ. შვეიერი, გ. ზაზემანი, პ. ვინოგრადოვ-ნიკიტინი, გ. სტრუვე, ე. ანდრეევსკი, ა. რემერტი)* მაღალ სვეტებზე დადგმული მცირე ზომის ფიგურების გარკვეული სიმეტრიით განთავსება. ქანდაკებათა სპეციალურ აპლიკაციებთან დაკავშირების შემდეგ, ირთვება ხმოვანი მონოლოგი, რომლის შინაარსიც ასახავს ინფორმაციას კონკრეტული ისტორიული

პირისა და მისი მოღვაწეობის შესახებ. *(მაგ. ადოლფ რემერტის ფიგურა – ადოლფ რემერტი თავად ეცნობა ვიზიტორს და უამბობს ბორჯომში მოღვაწეობის ისტორიას).*

1.5 საექსპოზიციო სივრცე დროებითი გამოფენებისათვის (44.12 მ²)

მუზეუმის დროებითი გამოფენების სივრცეში ერთმანეთს ჩაენაცვლება კურორტ ბორჯომთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის საინტერესო გამოფენები. კერძოდ, ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ეროვნული არქივის *(ფოტო, ფონო, პროექტები, ესკიზები)* კოლექციები, ასევე თემატური *(კურორტი ბორჯომი, ბორჯომის არქიტექტურა, ევროპელი არქიტექტორები ბორჯომში, ლიკანის სასახლე და პარკი, მინერალური წყლის „ბორჯომი" წარმოების ისტორია, იმპერიის პირველი ჰიდროელექტროსადგური, რომანოვების ოჯახი და ბორჯომი, რომანოვების ბიბლიოთეკა და მრავალი სხვა).*

გამოფენების ორგანიზება-განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სამუზეუმო მიმართულების სამსახური ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან ერთად.

II სართული – 288.0 მ²

- მუზეუმის თანამშრომლთა სამუშაო სივრცე (11.89 მ²);
- ფონდსაცავი, ასევე, სათავსო ექსპოზიციის მოსამზადებლად – (30.48 მ²);
- აქ განთავსდება დამხმარე სამეცნიერო მასალა *(კატალოგები, ნახაზები, გეგმები, ესკიზები, ფოტოები);*
- საპირფარეშო *(ძველებური დიზაინი),* (4.80 მ²);
- ღია აივანი;
- ლიფტი შშმ პირთათვის.

1.2 კინოდარბაზი (22.01 მ²)

სივრცე შესაბამისი ტექნიკური აღჭურვით, სამუზეუმო ფილმების, ფოტო და სხვა სახის ვიზუალური მასალის რეტროსპექტივისათვის.

1.3 საექსპოზიციო სამი დარბაზი მუდმივი გამოფენებისათვის

1. საექსპოზიციო დარბაზი (39.41მ²)

ეპოქისა და კოლექციის ხასიათიდან გამომდინარე უნდა შეიქმნას ეპოქის ატმოსფეროს ამსახველი ცოცხალი სალონური გარემო.

ელექტრონული ფორმატით (Touch screen) უნდა იყოს წარმოდგენილი მიხეილ რომანოვის ოჯახი, აქცენტით საქართველოში და კერძოდ ბორჯომში მოღვაწეობაზე *(აქ ბმული ლიკანის მუზეუმზე).* ამ სივრცეში ექსპონირებული იქნება მემორიალური ნივთები (*ხატი ოჯახის წევრთა სახელებით, ოლგას დამბაჩა, ხელსაქმის* და *სამკაულის ზარდახშები* და *სხვ.),* საოჯახო ფოტოები, ავეჯი, კლავესინი, მცირე რაოდენობით წიგნები რომანოვების ბიბლიოთეკიდან, სახვითი ხელოვნების ნიმუშები *(ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება – ბორჯომის მხარეთმცოდნეობისა* და *ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმების ფონდებიდან);* ამავე სივრცეში სასურველია მცირე ზომის თოჯინების ან კოსტიუმირებული სილუეტების საშუალებით მათი ოჯახური გარემოს რეკონსტრუქცია. *(მაგ. ოლგა ხელსაქმით, ანასტასია კლავესინთან).* შესაძლებელია ძველებური ფოტოალბომის დამზადება, სადაც განთავსდება საარქივო ფოტოები (შესაძლოა ელექტრონულ ფორმატშიც Touch screen-ში ჩატვირთვა).

2. ორი საექსპოზიციო დარბაზი (39.48 მ² / 69.15 მ²) სრულად დაეთმობა რომანოვების საიმპერატორო ოჯახის კოლექციის ექსპონირებას. ეს არის გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები მინის, ფაიფურის, ქაშანურის, ასევე ნახევრად ძვირფასი ქვის, თიხის, ხის, ლითონის, ტყავის ნივთები *(ქართული, აღმოსავლური, რუსული, ევროპული).*

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ მიკვლეულია *(პროცესი კვლავაც გრძელდება)* ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილისა და ს. ჯანაშიას მუზეუმებში ევროპული, რუსული, აღმოსავლური და ქართული წარმოების ექსპონატები, რომელთა დიდი წილი სწორედ მიხეილ რომანოვის სასახლის, შემდგომში ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კუთვნილებას წარმოადგენდა და სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზეზთა გამო მოხვდა თბილისის ზემოხსენებულ მუზეუმებში. სასურველია ამ კოლექციათა გამთლიანება და ბუნებრივ გარემოსა და კონტექსტში ექსპონირება. ასეთ ვითარებაში მნიშვნელოვნად იცვლება საექსპოზიციო კოლექციის ოდენობა და მასშტაბი, ის პრაქტიკულად ორმაგდება. ისტორიული გარემოს რეკონსტრუქციის შემთხვევაში, „ახალი კავალერიის სახლის" ეს ორი სივრცე ვერ დაიტევს ზემოაღნიშნულ კოლექციებს. ამდენად, მათი ოპტიმალურად და ეფექტურად ექსპონირებისთვის ვფიქრობთ, მაქსიმალურად იქნას გამოყენებული თანამედროვე დიზაინისა და უახლესი ტექნოლოგიების შესაძლებლობები *(განათება, ვიტრინები, მულტიმედია).*

III მანსარდული სართული

1.1 „ახალი კავალერიის სახლის“ მანსარდულ სართულში უნდა განთავსდეს შემდეგი სივრცეები:

- თანამშრომლების ოთახი (20.57 მ²);
- სამეურნეო სათავსო (4.51 მ²);
- საპირფარეშო – თანამედროვე დიზაინი, ბავშვებისთვის ცალკე სეგმენტი (3.37 მ²; 2.47 მ²);
- საგანმანათლებლო სივრცე (40.47 მ²);
- მედიათეკა (ბიბლიოთეკა) (84.41 მ²).

1.2 საგანმანათლებლო სივრცე (40.47 მ²)

საგანმანათლებლო სივრცის დიზაინი უნდა იყოს თანამედროვე, შესაბამისი განათებით, თბილ, ხალისიან ფერებში, ჭერში დამონტაჟდეს საკიდები, ყველა კედელზე, საექსპოზიციო მასალის გამოფენისათვის მთელ სიგრძეზე განთავსდეს ვიწრო თარო-სადგარი *(კედლების დაზიანების თავიდან არიდების მიზნით);* განთავსდეს ბავშვებისათვის გათვალისწინებული კომფორტული ავეჯი, შეიქმნას მაქსიმალურად შემოქმედებითი გარემო, შესაბამისი ტექნიკური აღჭურვით;

საგანმანათლებლო პროგრამებში ადგილობრივი სასკოლო ასაკის ბავშვების ჩართვა-მონაწილეობა დადებითად აისახება როგორც მათ განვითარებასა და აკადემიურ მოსწრებაზე, ისე მოტივაციის ზრდაზე.

საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა-განხორციელება მოხდება სააგენტოს საგანმანათლებლო სამსახურის კოორდინაციით;

1.3 მედიათეკა (ბიბლიოთეკა) (84.41 მ²)

საგანმანათლებლო სივრცის მსგავსად, მედიათეკის დიზაინიც უნდა იყოს თანამეი დროვე და შეესაბამებოდეს მის ფუნქციურ დატვირთვას.

მედიათეკამ უნდა შეითავსოს მეცნიერ-თანამშრომელთა სამუშაო სივრცეც.

იგი მოემსახურება როგორც მკვლევარებს, ისე ადგილობრივ მოსწავლე-ახალგაზრდობას. რომელთაც მიეცემათ ადგილზე სხვადასხვა ხასიათის ლიტერატურის გაცნობის საშუალება, როგორც მყარი, ისე ელექტრონული ფორმით.

მედიათეკაში ელექტრონულ ფორმატში მისაწვდომი იქნება ბორჯომის შესახებ არსებული საარქივო მასალა და სამეცნიერო ლიტერატურა, ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კოლექციები, ასევე, ბორჯომის შესახებ საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტური და ფოტომასალა, საქართველოს ეროვნული სააგენტოს გამოცემები *(წიგნები, ალბომები, სამეცნიერო ჟურნალები და კრებულები)* და მრავალი სხვა.

თანამედროვე ტექნიკით *(კომპიუტერი, სკანერი და სხვ.)* აღჭურვილი მედიათეკის სივრცე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადგილობრივი ახალგაზრდების საგანმანათლებლო-ინტელექტუალური დონის ამაღლებას და მათი მოტივაციის ზრდას. ასევე, მოსახერხებელი იქნება როგორც სამეცნიერო კვლევით დაინტერესებულ ადგილობრივთათვის, ასევე, ბორჯომში დროებით მივლინებული ქართველი და უცხოელი მკვლევარებისათვის.

„ახალი კავალერიის სახლის“ მუზეუმი, სხვა მუზეუმებთან კომპლექსში, მნიშვნელოვნად გაზრდის დაინტერესებული დამთვალიერებლის რაოდენობას. მუზეუმში არსებული სერვისები *(ვიზიტორთა ცენტრი, ლიტერატურული კაფე, წიგნებისა და სუვენირების მაღაზიები, ბიბლიოთეკა-მედიათეკა, საგანმანათლებლო პროგრამები)* შექმნის კურორტზე დასვენებისა და დროის სასიამოვნოდ გატარებისთვის კომფორტულ გარემოს.

ახალი სამუშაო ადგილები – სამუზეუმო შტატი, ტურისტებისა და კაფეს ფუნქციონირებასთან დაკავშირებული მომსახურება, ადგილობრივი რეწვა, სუვენირების, ბეჭდური და ადგილობრივი პროდუქციის რეალიზაცია, სარესტორნო და სასტუმრო ბიზნესის ხელშეწყობა – ყოველივე ეს გაზრდის როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ტურისტების დაინტერესებას.

ამდენად, ბორჯომში „კავალერიის კორპუსის“ რეაბილიტაციისა და სამუზეუმო ადაპტაციის, სრულფასოვანი, თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნის შედეგად, გარდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ფიზიკური გადარჩენისა და ახალი სამუზეუმო, შემეცნებით-კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცის შექმნისა, ჩვენ მნიშვნელოვნად ვუწყობთ ხელს როგორც მხარის, ისე ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას.